პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | ხუთშაბათი, 12 მარტი 1925 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 55 (743) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა ტელ. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განც ხადებები მორიგნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

კვირას, 15 მარტს, ამხ. ვლ. ი. ლენინის სახელობის საოპერო თეატრში

სრულ 10 საათზე შესდგება ტფილისის სამაზრო—საქალაქო საბჭოთა ყრილობის კომფრაქციის სხდომა.

ტფილისის მე-5-თე მოწვევის საბჭოს პარტიის წევრ. დეპუტატების და მაზრის დელეგატების დასწრება სავალდებულოა.

შესვლა დროებითი მანდატებით და პარტ-ბილეთებით.

კომფრაქციის ბიურო

## თებერვლის რევოლუცია.

დღეს სრულდება 8 წელი ს შემდეგ, რაც დაემხო სისლიანი ნიკოლოზის ტახტი. 917 წელს 27 თებერვალს უსეთის მშრომელ მასებმა მოშორეს თავიდან დახავსებული თვითმპყრობელობა, რომელიც უკუნეთა განმავლობაში სჩაგავდა მათ და მძიმე მონობის ღელში ყავდა გამბული.

მაგრამ თებერვლის რევოლუციამ რუსეთის მუშები და ლეხები იხსნა მხოლოდ ბატონყმური წესწყობილებიდან. ან მშრომელთა განთავისუფლების საქმე ვერ მიიყვანა ბოლომდი.

თებერვლის რევოლუციამ ალხს მოაშორა ნიკოლოზი, აგრამ მის ნაცვლად გაუჩინა ხალი ბატონი—რუსეთის იმპერიალისტური ბურჟუაზია. მუშების და გლეხების ხელებით შექმნილი თებერვლის რევოლუცია რუსეთის კაპიტალისტებმა გამოიყენეს.

მათ მოიქცენ სახელმწიფოს სათავეში და დაიწყეს იმპერიალისტური პოლიტიკის გატარება, ამავე დროს მათ მოინდომეს სოციალ-შემთანხმებელთა საშუალებით მუშათა და გლეხთა რევოლუციონური მოძრაობის ჩაქრობა და თავისი ძალაუფლების განმტკიცება.

რუსეთის მუშათა კლასი დადგა ახალი რევოლუციის მოხდენის აუცილებლობის წინაშე. და აი კომუნისტური პარტიის მეთაურობით ის ახდენს ოქტომბრის პროლეტარულ რევოლუციას, რომელმაც საბოლოოდ იხსნა მუშები და გლეხები, როგორც თვითმპყრობელობის, ისე ბურჟუა-მემამულეების ბატონობისაგან.

ამრიგად თებერვლის რევოლუცია წარმოადგენს ოქტომბრის რევოლიუციის შესავალს.

თებერვლის რევოლიუციამ დააჩქარა მუშათა კლასის რევოლიუციონური ძალების მობილიზაცია და შექმნა პირობები დიდი ოქტომბრისათვის. ასეთია მისი ისტორიული მნიშვნელობა საბჭოთა კავშირის მშრომელთათვის.

თებერვლის რევოლიუცია არ იყო პროლეტარული რევოლიუცია. ის ბურჟუაზიული იყო, ვინაიდან მან გამარჯვება არგუნა კაპიტალისტებს.

ნამდვილი პროლეტარული რევოლიუცია კი, რომელმაც დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება დედამიწის მეექვსედ ნაწილზე, განამტკიცა მუშების და გლეხების დიკტატურა, დაამხო კაპიტალიზმი და შექმნა პირობები სოციალისტური აღმშენებლობისათვის, არის დიადი ოქტომბრის რევოლიუცია. ეს უკანასკნელი მუდამ საუკეთესო მაგალითი იქნება ყველა ქვეყნის მუშებისათვის, იმისი თუ როგორ უნდა დაამხონ მათ თავიანთ ქვეყნებში ბურჟუაზიული წესწყობილება.

# ახალი რადიო-ამბები

## ბურჟუაზიის ლაქიებს თანდათან დაუვარდათ მაზანდა.

### ვეღარ ასაღებენ თავიანთ გესლს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

9 მარტს, სოციალისტებმა, ანარქისტებმა და ლიბერალებმა გამართეს ნიუ-იორკში პროტესტის მიტინგი საბჭოთა კავშირში დაპატიმრებულ კონტრ-რევოლიუციონურ პატიმრებისადმი მოპყრობის წინააღმდეგ.

მიტინგი ჩაშლილ იქმნა დამსწრეთა მიერ, რომლებიც თანაუგრძნობდენ საბჭოთა ხელისუფლებას და არ სურდათ მოესმინათ სოციალისტების ცილისწამების მოსმენა საბჭოთა კავშირის შესახებ.

## მუშათა კლასმა საბოლოოდ გაუსინჯა მათ კბილები.

დანიის კომუნალურ არჩევნებზე სოციალ—დემოკრატები სასტიკად მარცხდებიან. ბევრ ადგილებზე მათ დაჰკარგეს ძველი უმრავლესობა.

ეს იმას ნიშნავს, რომ მუშებში თანდათან დაჰკარგა ნდობა სოციალ—დემოკრატიულმა მთავრობამ, რომელსაც არც ერთი თავისი დაპირება არ შეუსრულებია.

## „სოციალისტის“ სახსოვრად.

### ნათლია ჩემბერლენი აქებს მია ბრანტინგს.

ერთა ლიგის სესიის პირველ სხდომაზე ჩემბერლენმა წარმოსთქვა სიტყვა ბრანტინგის ხსოვნის გარშემო.

ჩემბერლენმა უწოდა მას „მხურვალე მებრძოლი ერთა ლიგის ინტერესებისათვის“ და „იდეალისტი, რომელიც არას დროს არ ღალატობდა სინამდვილის გრძნობას“.

## ამერიკაში კვლავ დატრიალდა ნავთის სუნი.

### მექრთამე მინისტრი ფოლი და სინკლერის კომპანია.

ამერიკის მთავრობამ აღძრა საჩივარი, რათა გაპათილებულ იქნას ნავთის საიჯარო ხელშეკრულება სინკლერის კომპანიასთან.

მთავრობა ბრალს სდებს ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს—ფოლს ქრთამის აღებაში სინკლერის კომპანიასთან ხელშეკრულების დადების დროს.

საქმეს კავშირი აქვს გასულ წელში ნავთის გარშემო ატეხილ სკანდალთან.

## მდგომარეობა ჩინეთში.

### პეკინის დღევანდელ მთავრობას ფაქტიურად არავითარი უფლება არ აქვს.

მტრულად განწყობილი ჯგუფები გაძლიერებით აგროვებენ ჯარებს და აწყობენ ახალ შეიარაღებულ შეტაკებას.

ერთის მხრივ დგას ჩჟან-ცზო-ლინი, რომლის გავლენა ძლიერდება აღმოსავლეთ სანაპიროებში და სცდილობს გაავრცელოს თავისი უფლება ცენტრალურ და დასავლეთ ჩინეთში.

მეორე ძირითადი ჯგუფი გენერალ ფინ-იუსიანის ხელმძღვანელობით აგროვებს თავის ძალებს მთელ რიგ პროვინციებში.

ჩჟან-ცზო-ლინი აშკარად ილაშქრებს გომინდანის პარტიის წინააღმდეგ და აცხადებს, რომ პარტიის არსებობა საშიშია.

ფინ-იუ-სიანის ჯგუფი სცდილობს შეჰქმნას გომინდანის პარტიასთან მეგობრული ურთიერთობა.

## ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის არსებობის სამი წლის თავი.

დღეს სრულდება სამი წელი, რაც საძირკველი ჩაეყარა ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის არსებობას. ამიერ-კავკასიის მშრომელთა ხალხის ისტორიაში ეს უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია, ვინაიდან აქედან იწყება მათი მჭიდრო ძმური თანამშრომლობა სოციალისტურ აღმშენებლობის გზაზე. სულ სხვა იყო წინად საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებამდე.

ჯერ კიდევ რუსეთის თვითმპყრობელობა უხვად სთესდა ამიერ კავკასიაში ეროვნულ ქიშპობის და სიძულვილის თესლს სომხებს, ქართველებს და თათრებს შორის. თავის შოვინისტური პოლიტიკით ის ხელს უწყობდა სომეხ-თათართა ხოცვა ჟლეტას და სხვა. დაემხო თვითმპყრობელობა, მაგრამ ეროვნული შუღლი მაინც არ მოისპო ამიერ-კავკასიაში. ოქტომბრის რევოლიუციის მოღალატეებმა და მტრებმა მენშევიკებმა, დაშნაკელებმა და მუსავატელებმა მოიკალათეს თავი აქ და გააჩაღეს საშინელი ნაციონალური შუღლი და მტრობა.

მათი წყალობით ხან საქართველო სომხეთს ებრძოდა, ხან სომხეთი აზერბეიჯანს, ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ საქართველოს და ასე...

მენშევიკ-მუსავატ-დაშნაკელების ბატონობამ მთელი ამიერ-კავკასია ეროვნული გაუტანლობის და მუდმივი მტრობის ბუდეთ გადააქცია. ამ ეროვნულ ბრძოლაში იჟლიტებოდა აუარება მუშები და გლეხები და ნადგურდებოდა მშრომელთა ხალხის ავლა დიდება.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით სომხეთში, აზერბეიჯანში და საქართველოში ბოლო ეღება ეროვნულ მტრობას. კომუნისტური პარტიამ და მუშურ-გლეხურ ხელისუფლებამ მოუტანა ამიერ-კავკასიის მშრომელთ ნამდვილი თავისუფლება და ეროვნული მშვიდობიანობა.

მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპარტიის მეთაურობით თვით მშრომელნი გახდენ თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი, დამყარდა ამიერ-კავკასიის ერთა შორის სრული ეროვნული მშვიდობიანობა და ბოლო მოეღო უნდობლობას.

მაგრამ მარტო ამით არ დაკმაყოფილდენ ამიერ-კავკასიის მშრომელთა მასები.

მათ არა თუ ბოლო მოუღეს ეროვნულ მტრობას და დაამყარეს სრული მშვიდობიანობა ამ მხრივ, არამედ უფრო შორს წავიდენ და მტკიცე საძირკველი ჩაუყარეს ამიერ-კავკასიის ერთა შორის მჭიდრო ძმურ თანამშრომლობას. ამიერ-კავკასიის ერები შეკავშირდენ ერთ განუყოფელ შრომის ოჯახში და შეუდგენ მშვიდობიან აღმშენებლობით მუშაობას.

სამი წელია, რაც არსებობს ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკა.

ამ ხნის განმავლობაში სამუდამოთ განმტკიცდა ეროვნული მშვიდობიანობა და საგრძნობლად აღორძინდა ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობა. ეს ნათლად დამტკიცდა საბჭოთა კავშირის ცაკის მესამე სესიაზე, სადაც ამხ. მამია ორახელაშვილის ოთხ საათიან მოხსენებაში, გადაიშალა ამიერ-კავკასიის საბჭოთა ხელისუფლების და მშრომელთა მასების მიღწევების გრანდიოზული სურათი.

1921 წელში ამხ. ლენინმა კავკასიელ კომუნისტებს დაუყენა შემდეგი ამოცანა: „ნებას მივცემ თავის თავს გამოვსთქვა იმედი, რომ კავკასიელ კომუნისტების მჭიდრო კავშირი შექმნის ნაციონალური მშვიდობიანობის ნიმუშს, რომელიც არ ვის უნახავს ბურჟუაზიის დროს და შეუძლებელია ბურჟუაზიულ წესწყობილებაში“.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამიერ—კავკასიის კომუნისტები და მშრომელთა მასები მტკიცედ ატარებენ ცხოვრებაში ამხ. ლენინის ამ დავალებას ვინაიდან მათ შექმნეს ეროვნული მშვიდობიანობის და თანამშრომლობის ისეთი გარანტია ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახით, „რომელიც წარმოადგენს არა ჰაერში მფრინავ ორგანოს, არა ცალკე რესპუბლიკების არითმეტიკულ შენაკრებს, არამედ ორგანიულად მთლიანს, ორგანიულ პოლიტიკურ ზედნაშენს, ამიერ—კავკასიის მშრომელთა სახელმწიფოს“.

გაუმარჯოს ამიერ—კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას.

—ე.

# მანცხადება.

კვირას, 15 მარტს, ამხ. ვლ. ლენინის სახელობის სახელმწიფო საოპერო თეატრში, სრულ 12 საათზე შესდგება ტფილისის სამაზრო—საქალაქო საბჭოთა ყრილობა.

**დღის წესრიგი:**

1. საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ.
2. ტფილისის აღმასკომის ანგარიში,
3. სასოფლო—სამეურნეო გადასახადის აკრეფის ფორმის შესახებ.
4. ტერიტორიალურ ჯარების შედგენის შესახებ.
5. არჩევნები.
6. მიმდინარე საკითხები.

ტფილისის მე-5-თე საბჭოს წევრების და მაზრის დელეგატების შესვლა დროებით მანდატებით, მთავარ შესავალიდან.

ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

ტფილისის სამაზრო—საქალაქო საარჩევნო კომისია.

---

ხუთშაბათს, 12 მარტს, საღამოს 5 საათზე, ამხ. ვლ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო საოპერო თეატრში შესდგება მე-5-თე მოწვევის ტფილისის საბჭოს პლენუმის საზეიმო სხდომა, საფაბრიკო—საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების თანდასწრებით.

**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**

ამხ. სერგო ორჯონიკიძის მოხსენება ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამი წლის თავის შესახებ.

მოხსენების შემდეგ სტუმრებისათვის გამართული იქნება უფასო წარმოდგენა.

შესვლა თეატრში დროებითი მანდატებით.

სამაზრო საქალაქო საარჩევნო კომისია.

## ოსმალეთის ამბები.

### აჯანყებულებთან ბრძოლა მძიერდება.

შვიდიდან რვა მარტს ღამით აჯანყებულებმა იერიში მიიტანეს მთავრობის ჯარებზე, რომლებიც გამაგრებული იყვენ დიარბექირის ჩრდილოეთით.

მიუხედავად რამოდენიმე ძლიერი იერიშისა, მათ მაინც ვერ შესძლეს დიარბექირის აღება და სასტიკად დამარცხდენ.

აჯანყებულთა მეორე რაზმი, რომელიც აგრეთვე სცდილობდა დიარბექირზე გადასვლას, გაფანტულ იქნა მთავრობის ჯარების მიერ. იმათ დაჰკარგეს მრავალი ტყვე და დაეხოცათ ორმოცდაათზე მეტი კაცი.

## ძველი ნაცნობი.

პრუსიის ლანდტაგში პრემიერ-მინისტრად კვლავ არჩეულ იქნა მარქსი.

## შეშლილის ბოდვა.

### კიდევ ბევრი გაგიჟდება ევროპის კარზე უიმედოთ ხეტიალში.

9 მარტს, სამხედრო ფორმაში ჩაცმული პირი გამოცხადდა საბჭოთა კავშირის საელჩოში პარიზში და მოითხოვა ენახებიათ მისთვის სრულუფლებიანი წარმომადგენელი.

მან აშნეულად განაცხადა, რომ განზრახული აქვს კრასინის მოკვლა.

უცნობი გადასცეს პოლიციას. ის აღმოჩნდა ყოფილი ყაზახთა ოფიცერი, თეოდორე სერგეევი.

ის ირწმუნებოდა, რომ ციურმა ხმებმა მას ჩააგონეს მოეკლა კრასინი.

სერგეევს არავითარი იარაღი არ აღმოაჩნდა.

ის გადაიყვანეს სპეციალურ საავადმყოფოში.

## საგარანტიო საკითხის გარშემო.

ერიომ და გიმანსმა ითათბირეს განსაკუთრებით უზრუნველყოფის საკითხის გარშემო.

გიმანსის აზრით გერმანიამ წინასწარ უნდა აასრულოს ვალდებულებანი განიარაღების შესახებ და შევიდეს ყოველგვარ პირობების გარეშე ერთა ლიგაში.

## ინგლისის მუშათა კლასი გმობს კონსერვატორული მთავრობის პოლიტიკას.

მუშათა პარტიამ სასტიკად დაჰგმო თემთა პალატაში ინგლისის კონსერვატორული მთავრობის პოლიტიკა უმუშევრობის საკითხში და საერთოდ მთავრობის დამოკიდებულება მუშათა კლასთან.

მუშათა პარტიის მხრივ გამოვიდა ბევრი ორატორი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მთავრობა ძველებურად გაურბის საკანონმდებლო ზომებს უმუშევრობის საქმეში და სცდილობს გადასწყვიტოს საკითხი წმინდა ადმინისტრატიული წესით.

მუშათა პარტიამ შეიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც მოთხოვნილი იყო შემცირებოდა ჯამაგირი შრომის მინისტრს. რეზოლიუცია უარყოფილ იქნა 245 ხმით 133-ს წინააღმდეგ.

## ერთა ლიგის საბჭომ.

ერთა ლიგის საბჭომ განიხილა საკითხი გერმანიის მემორანდუმზე პასუხის შესახებ, გერმანიის ერთა ლიგაში მიღების შესახებ და სხვა.

## უსამართლო სასამართლო ანუ „გერმანიის ჩეკას“ პროცესი.

ვიურტემბერგის სისხლის სამართლის პოლიციის უფროსი კოპენგეფერი (მოწმე) სცდილობს დაამტკიცოს, რომ პეგე იძლეოდა კომპარტიის სახელის გამტეხ ჩვენებას.

ამის საპასუხოდ პეგე ამბობს, რომ ასეთი ჩვენება მას გამოსტყუა კოპენგეფერმა სიკვდილით დასჯის მუქარით.

აგრეთვე ბრალდებული სონიც აცხადებს, რომ კოპენგეფერი მას ძალას ატანდა და სიმშილით სჯიდა.

ბრალდებული მარგისი აცხადებს, რომ ის რამოდენიმე თვე ჰყავდათ დამწყვდეული ბნელ საკანში, რადგანაც უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე.

## პრეზიდენტის არჩევნების გარშემო გერმანიაში.

დემოკრატებმა წინადადება შეიტანეს პრეზიდენტის არჩევნებში საერთო კანდიდატად წამოყენებულ იქნას სიმონსი (საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი და სიმპერიო სასამართლოს თავმჯდომარე).

ნაციონალისტები მოითხოვენ ამ წინადადების უარყოფას.

სოციალ-დემოკრატები უკმაყოფილო არიან დემოკრატების წინადადებით.

რესპუბლიკანური პარტიები ირაზმებიან ერთიან ფრონტზე.

## სიმონსი პრეზიდენტის მოადგილეა.

კომუნისტებისა და ტევტონელების წინააღმდეგ რეიხსტაგის უმეტესობამ მიიღო კანონ-პროექტი სიამონსის დანიშვნის შესახებ პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩევნების დასრულებამდი.

## გაზ. „როტე ფანე“ კვლავ გამოდის.

პრეზიდენტის მომავალი არჩევნების გამო, კომუნისტური გაზ. „როტე ფანე“-ს აკრძალვის ვადა შემცირებულ იქნა და გაზეთის გამოცემა განახლდა.

## კიდევ ებერტის შეურაცყოფის საქმე.

მაგდებურგში ხელახლად დაიწყო საქმე ებერტის შეურაცხყოფის შესახებ. (პირველი განაჩენი გაუქმებულ იქნა საკასაციო სასამართლოს მიერ).

## ებერტის დასაფლავების გარშემო.

### ერთი წავა და სხვა მოვა...

გერმანიის მთავრობამ წინადადება შეიტანა რეიხსტაგში ებერტის სახელმწიფო ხარჯზე დასაფლავების შესახებ. მოხდა მწვავე შეტაკება კომუნისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის.

კომუნისტებმა დაახასიათეს ებერტის პოლიტიკა და აღნიშნეს, რომ **მისი მოადგილე ისეთივე მოსისხლე მტერი იქნება რევოლიუციონური პროლეტარიატისთვის.**

## $19\frac{27}{2}17$--$19\frac{12}{3}25$

დღეს შესრულდა რვა წელიწადი მას შემდეგ, რაც რუსეთის მუშებმა და მაზარაში გამოხვეულმა გლეხმა ჯარის კაცებმა დაამხვეს თვითმპყრობელ ნიკოლოზის სამეფო ტახტი, რომელიც მთელ რუსეთის გლეხობას და მუშებს მაჯლაჯუნასავით აწვა კისერზედ და უკანასკნელ წვეთამდე სისხლს სწოვდა მათ. რომანოვების თვით მპერობელური გვარეულობა მთელი სამასი წლის განმავლობაში პარპაშობდა ისეთ უზარმაზარ ტერიტორიაზე, რომელზედაც სახლობდა 150-ათ მილიონიანი მცხოვრები.

ამ სამასი წლის განმავლობაში ერთხელაც არ უფიქრია მუშების და გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესობაზე, არამედ ყოველთვის იმაზე ზრუნავდენ რომ თავიანთი ფეოდალური არისტოკრატია, თავადაზნაურები და სახელმწიფოს მმართველი ჩინოვნიკები უკმაყოფილო არ ყოფილიყვენ თავიანთი მეფით. ამათ გარეშე თვითმპყრობელს არაფერი საქმე არ ქონდა. აბა რას იკითხავდა „გასვრილ“ მუშის და „ჰუჰყიან“ გლეხის მდგომარეობას? რუსეთის ისტორიას ბევრი გლეხური აჯანყებები გაუვლია, რომლებიც მიმართული იყო თავად-აზნაურების წინააღმდეგ, მაგრამ ასეთი გლეხური აჯანყებები ყოველთვის ცეცხლითა და მახვილით ჩაუხრჩვიათ და მრავალი გლეხობა გამხდარა მსხვერპლი მებატონეების შურისძიებისა.

მუშათა კლასის ბრძოლა თვითმყრობელობის წინააღმდეგ იწყება მესამოცე წლებიდან და თანდათანობით ვითარდებოდა. საერთო ბრძოლაში თვითმყრობელობის წინააღმდეგ მეტი მსხვერპლის გაღება წილათ ხვდა მუშათა კლასს, რადგან მუშათა კლასს, ყოველთვის უხდებოდა ბრძოლა ორ ფრონტზე: ბურჟუაზიის და მის დამცველ თვითმყრობელობის წინააღმდეგ. ამ თავგანწირულ კლასობრივმა ბრძოლამ მრავალი მუშა რ
ვოლიუციონერის სიცო
ლე შეიწირა სახრჩობელებზე
კატორგებში და ცივ ქვე
ნებში, მაგრამ ამით მუშა
კლასის კლასიური თვითშეგ
ბა და ნებისყოფა უფრო
უფრო მტკიცდებოდა და რ
ვოლიუციის გამარჯვებას უ
რო ღრმა საძირკველი ე
კვნებოდა. ეს ასეც მოხ
იმპერიალისტურ ომში რ
სეთის ჩამორჩენილი ნაცი
ნალური ბურჟუაზია სუსტა
გრძნობდა თავს და დამა
ცხებაც მისთვის საბედისწერ
შეიქნა.

დასავლეთი ფრონტი სუ
უკან და უკან იხევდა. ამ უკ
დახევის დროს რუსეთმა და
რგა მთელი პოლონეთი, ეს
ლანდია, ლიფლიანდია დ
კურლიანდია. ომის გაგრძელ
ბამ რასაკვირველია მოქანცა მ
ომარი ჯარის შემადგენლობ
და ჯარიც უკმაყოფილო იყ
არსებული მთავრობის და მათ
ხელმძღვანელ ოფიცრობის. მა
გრამ ამ იმპერიალისტურ ომ
ში მუშათა კლასის რევოლიუ
ციონური ნაწილი ბოლშევ
კების ხელმძღვანელობით ა
ტიურ მუშაობას აწარმოებდ
როგორც თვით მუშათა კლას
ში, აგრეთვე ჯარის რიგებშ
რამაც სასურველი შედეგებ
მოგვცა. როგორც ზევით აღ
ნიშნე უკმაყოფილება ნიკოლო
ზის მთავრობის წინააღმდეგ თა
და თან იზრდებოდა და კიდ
ვაც მივიდა თავის აღსასრულ
დღემდე. ეს მოხდა 1917 წლ
27 თებერვალს, როდესაც რუ
სეთის თვითმყრობელი მონარ
ქიული წესწყობილება საშუდა
მოთ დაემხო. ეს დღე განსაკუ
თრებით აღსანიშნავია რუსეთის
ისტორიაში, რადგან ამ დღიდ
ან იწყება მუშათა კლასის დ
დაჩაგრულ ერების განთავისუფ
ლებისათვის ბრძოლის ხანა
რაც ოქტომბრის რევოლიუცი
ამ განამტკიცა და განახორცი
ელა.

**ს. ლომიძე.**

---

ცენტრი აღშფოთებულია კომუნისტების საქციელით გა
სვენებულ ებერტისადმი, რომელსაც ის უწოდებს მხსნელს ქა
ოსისაგან.

ებერტის სახაზინო ხარჯზე დასაფლავების წინადადებ
მიღებულ იქნა კომუნისტებისა და ტევტონელების წინააღმ
დეგ.

## ჩვენი საგარეო ვაჭრობა

ამერიკისა და ჰოლანდიისათვის გაიგზავნა 757. 000 ფ
თი გაწმენდილი მადნით დატვირთული გემები.

## ამხ. კალინინი ფოთში.

10 მარტს ამხ. კალინინმა დაათვალიერა ელინგის ნავთ
სადგური, მადნეულობის სადგური, ელიავას სახელობის გე
მის მშენებელი ქარხანა, მდინარე რიონის ტოტზე ხიდის მუ
შაობა და ფოთი—სუნჯის გზატკეცილი. ამხ. კალინინმა მო
ისმინა კომისიის მოხსენება და გამოსთქვა თავისი აზრი ნავ
თის საქაჩავის აგების აუცილებლობაზე გროზნოდან ფოთამ
დი.

ამხ. კალინინმა ფოთის შთაბეჭდილებიდან აღნიშნა დ
დი მიღწევები.

გუშინ ფოთის სტუმრები გაემგზავრენ ფოთიდან ბათუ
ში.




## საჭიროა ქართული ენის მცოდნე ლექტორი.

პირველი დივიზიის ცალკე მესანგრეთა ასეულში ირიცხებიან 40-მდე სხვა და სხვა ნაწილებიდან მოვლენილი წითელ არმიელები. ვსწავლობთ სასანგრო საქმეების სპეციალურ ნაწილებს. უკვე ერთი თვე იქნება მალე, რაც ამხანაგები სისტემატიურად ეწევიან მეცადინეობას.

მოვლენილ ამხანაგების მთელი შემადგენლობა დაყოფილია ცალ-ცალკე ჯგუფებად. თითეული ჯგუფი უფრო დაწვრილებით ეცნობა სპეციალურ საგანს.

არის ერთი ჯგუფი, რომელსაც ასწავლიან შეხამების საგნებს; ის მეცადინეობს რუს ამხანაგებთან ერთად. საგანი იკითხება რუსულად და უნდა ითქვას ქართველი წითელ არმიელების უმეტესი ნაწილი ლექციიდან ვერაფერს გებულობს.

ჩვენმა ხელმძღვანელებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ გარემოებას. რუსული ჩვენ არ გვესმის და რუსულად წაკითხულ ლექციებს ჩვენ ვერ გავიგებთ.

კარგი იქნება ქართველი ამხანაგები გამოიყოფოდეს ცალკე ჯგუფად და ქართულად მოასმენიებდენ საგანს, ისე ჩვენ ვერაფერს შევითვისებთ.

წ. არ. ცხენისწყლის პირელი.

## წერა-კითხვის უცოდინარეობის სალიკვიდაციო ფრონტზე.

წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ, ანგარიშიც მოითხოვეს.

მეოთხე საგაუბიცო ბატარეიაში დიდი მუშაობაა. წითელ არმიელების დაინტერესებას სწავლის შეძენაში თან ერთვის ჩვენი უფროსების მუყაითობა და თავისი საქმისადმი ერთგული ენდისიერი მოპყრობა. ისინი არ იშურებენ თავიანთ ენერგიას, ოღონდ კი რაიმე შეიძინონ წითელ-არმიელებმა.

ხშირად გაიგონებთ ჩვენს არმიელებისაგან: „ბიჭო ვისწავლოთ რაიმე, გავიგოთ, განვითარდეთ და სოფელში დაბრუნების შემდეგ, ჩვენც გავანათლოთ ჩვენი მეზობლების გუნდი. მიუყვეთ ყველაფრის შეძენებო."

მთელი ბატარეიის არმიელები დაყოფილი არიან სამ ჯგუფად: მცოდნეთა, მცირე მცოდნეთა და უცოდინართა ჯგუფებად.

ჯგუფების ხელმძღვანელი ენერგიულად ეკიდება თავის მოვალეობას. ამას გარდა გამოყოფილია არმიელებიდან 10 კაცი, რომლებიც ამეცადინებენ არმიელებს წითელ კუთხეში რიგ-რიგობით. ეს ხდება ყოველდღიურად.

ლენინის კუთხეში ერკვევიან ჩვენი არმიელები ყველა გაუგებარ საკითხებში.

არსებობს წერა კითხვის უცოდინართა სკოლაც, რომელშიდაც დიდი ნაყოფიერებით მიმდინარეობს მუშაობა.

ის არმიელი, რომელიც ერთ ასოსაც კი ვერ სცნობდა ყაზარმაში მოსვლის პირველ ხანებში, ეხლა გრძელ წერილებს სწერს თავის ოჯახში და ჟურნალ გაზეთებსაც კარგად კითხულობს.

ამ ამხანაგებმა ეხლა მოითხოვეს ანგარიშის სწავლებაც.

მათი სურვილი დაკმაყოფილებული იქნა ყველა დიდი ინტერესით ეკიდება ამ საქმეს. საპირნოდაც კი აღარ გადიან ამხანაგები უქმე დღეებში. ყველას წიგნები უჭირავთ ხელში და მეცადინეობენ.

წ. არმ. გრ. ბარათაშვილი.

## ჩვენი საავადმყოფო.

მეოთხე ლეგიონის საავადმყოფოს ამ ჟამად ეწვია ექიმი რომანოვიჩი. რომელიც, მოსვლისთანავე შეუდგა ენერგიულად მუშაობას. ექიმმა მოახდინა მთელი ლეგიონის წითელ არმიელთა ტანთ სინჯვა.

საავადმყოფოში ყოველ დღიურად იღებენ ავადმყოფებს და სათანადო დახმარებას უწევენ.

საავადმყოფოში დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე კულტურულ მუშაობას წითელ არმიელთა შორის.

გამოვიდა საავადმყოფოს კედლის გაზეთი „სანჩირაღდანი". გაზეთში მოთავსებულია მდაბიო ენით დაწერილი წერილები სხვა და სხვა ვენერიულ ავადმყოფობათა შესახებ, თუ როგორ უნდა მოუარონ არმიელებმა თავს, რომ თავიდან აიცილონ ვენერიული სნეულებანი.

მაგრამ ამასთანავე საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ საავადმყოფოში წამლების დიდი ნაკლებობაა.

მაგალითად ხშირად არის ისეთი შემთხვევები, რომ ექიმი გამოუწერს წითელ არმიელს წამალს, რომელიც აუცილებელია მისთვის და ლეგიონის აფთიაქში არ მოიპოება.

არ არის ისეთი პირველი მოთხოვნილების წამლებიც კი, როგორც არის ქინაქინა და სხვა.

ამას აუცილებლად ყურადღება უნდა მიაქციოს ვისაც ეს შეეხება. ექიმს საშუალება უნდა მიეცეს რამე გააკეთოს.

სამხკორი ლ. ნანეიშვილი.

## ქალთა დღე პირველ ლეგიონში.

პირველი ლეგიონის კლუბში 8 მარტს შესდგა მრავალრიცხოვანი კრება. დაესწრენ აუარება ქალებიც.

კრებაზე მიწვეული იყვენ აგრეთვე ლეგიონის უნცროს მეთაურთა სკოლის კურსანტებიც.

კრების პრეზიდიუმის შემადგენლობაში არჩეული იქნენ ქალები. საერთაშორისო ქალთა მოძრაობაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ინასარიძე. გარკვევით გააშუქა ქალთა უფლებები და მათთვის წარმოებული ბრძოლა. მოხსენების შემდეგ წითელ არმიელებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს მასში შეკითხვების მიცემით და სხვა.

ბოლოს კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია, რომ მთელი თავისი ძალღონით ხელს შეუწყობენ ქალთა ორგანიზაციების დაარსებას და მათ მუშაობას ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეებში."

# პარტიული ცხოვრება.

## პირველი ლეგ. უნცროს მეთაურთა პარტიული ღია კრება.

აღნიშნული კრება შესდგა 7 მარტს. დაესწრენ პარტიის წევრები, კანდიდატები, ახკომკავშირის წევრები და უპარტიო ამხანაგები.

კრებამ მოისმინა მოხსენებები შემდეგ საკითხებზე:

ქალთა საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობაზე, საჰაერო ფლოტის გაძლიერებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ, და სხვა.

ქალთა მოძრაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ხომერიკმა. ამხანაგმა ვრცლად გააშუქა ამ მოძრაობის ისტორია.

მოხსენებამ მრავალი შეკითხვები გამოიწვია.

საჰაერო ფლოტის გაძლიერებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ ილაპარაკა ამხ. ცინცაძემ. მან აღნიშნა თუ როგორი როლის თამაში შეუძლია საჰაერო ფლოტს ქვეყნის ეკონომიურ აღმშენებლობასა და სამხედრო დარგში.

მთელმა კრებამ ერთხმად გამოსთქვა სურვილი, შეიტანონ თავიანთი წვლილი საჰაერო ფლოტის გაძლიერების საქმეში. გაზეთებიდან კვირეული მიმოხილვა გააკეთა. ამხ. ჩიტაიშვილმა. იყო მრავალი შეკითხვები და სხვა.

ბოლოს კრებამ მოისმინა პარტკორებისა და ახკორების შესახებ განმარტება. აღნიშნული იქნა მათი ვალდებულებანი და ამის შემდეგ არჩეული იქნენ სკოლის პარტკორები და ახკორები.

ახკორი ჩოტალაშვილი.

„შევეცდებით რაც შეიძლება მეტი შეგნებული ქალები ჩავაბათ საზოგადოებრივ საქმეში".

კრების შემდეგ დაიდგა პიესა „პროლეტარი ქალი", რომელიც ძლიერ მხატვრულად იქნა ჩატარებული.

ახკორი ზუბაძე.

## 2-რე ლეგ. 2-რე ათასეულის წერა-კითხვის უცოდინართა ცხოვრებიდან.

პირველ ხანებში ჩვენი ათასეულის წერა-კითხვას უცოდინართა მეცადინეობა ძლიერ ცუდ პირობებში მიმდინარეობდა. არ გვქონდა შესაფერი სამეცადინო დარბაზი და სხვა სამოსწავლო ნივთები. ოზურგეთში გადმოსვლის შემდეგ ამ მხრივ საგრძნობლად გაუმჯობესდა ჩვენი მდგომარეობა. ამ ჟამად სისტემატიურად სწარმოებს ათასეულში მეცადინეობა. მოგვეპოება ყოველგვარი სამოსწავლო ნივთები და მშვენიერი შენობა. სულ მოკლე ხნის განმავლობაში წერა-კითხვის უცოდინარებმა შეითვისეს ყველა გადაცემული მასალები და დიდი მონდომებით ეკიდებიან მეცადინეობას. ერთი თვენახევრის განმავლობაში ამხანაგებმა იმდენად შეისწავლეს წერა-კითხვა, რომ თამამად სწერენ თავის მშობლებს წერილებს. თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ათასეულიდან გადაგზავნილი იქნენ ლეგიონის სკოლაში რამოდენიმე ამხანაგები და მათ რიცხვში სხვათა შორის სალიკვიდაციო სკოლა დამთავრებული არმიელებიც. კარგი იქნება რომ ამ ამხანაგებს მიამაგრებდენ ადგილობრივად ასეულებზე.

სამხკორი ე. ჯიჯეიშვილი.

## მეოცნებე გუშაგი.

დაღამდა. ყველაფერი მიწყნარდა. ზარბაზნების ქუხილი აღარ ისმის. ორივე მხარე ისვენებს და ხელახალი შეტევისთვის ღონეს იკრებს. სამი დღის უძინარი წითელ-არმიელები სანგრების კედლებს მიყუდენ, თავს იმაგრებენ რომ არ დაეძინოთ. კიდევ ელოდებიან ასეულის უფროსის ბძანებას, რომ ხელახლა ცეცხლი უხსნან მტერს.

დაქანცული წითელ-არმიელები შეეცოდა ასეულის უფროსს. მან ბრძანა:

გამოიყოს ერთი საველე ყარაული და გაიგზავნოს წინ მტრის სათვალთვალოთ. თუ მტერი ღამით ისარგებლებს და მოგვიახლოვდება სასწრაფოთ შეგვატყობინოს სანგრებში დაძინებულებს.

დანარჩენებს კი მიეცეს ნება სანგრებშივე მოსვენებისა.

რამოდენიმე წუთში ასეულის უფროსის ბრძანება შესრულებული იქნა და წითელ-არმიელებმა დახუჭეს თვალები.

ბნელა. სდგას გზა ჯვარედინზედ საველე ყარაულისაგან გამოყოფილი გუშაგი. სულ განაბული ისმენს ნიავის ყოველ მოძრაობას.

ხარბად გახელილი თვალები ჩხრეკს წყვდიადს ღამის სიბნელეს. მაგრად უჭირავს ხიშტიანი თოფი ხელში და ხშირად მოისვამს ხელს ქამარზედ ჩამოკიდებულ ხელის ყუმბარებზედ. ფოთოლთა ხშირი შრიალი აღიზიანებს მის სმენას. ის ყურადღებით უსმენს არე-მარეს და რწმუნდება რომ საფრთხე არაფერი არის. მან კარგად იცის რომ დაძინებული ამხანაგები მისი იმედით არიან. მან უნდა შეატყობინოს ამხანაგებს მტრის ფარული მოძრაობა. მასზედ კიდია მათი სიკვდილ-სიცოცხლე. ყურთა სმენა ალი აქვს და გამბედაობაც საკმაო. ყველას უყვარს იგი, ყოველ მხრივ სანდო და საიმედო. ამიტომაც ჩააბარეს ასეთი საპასუხის-მგებლო საქმე. გუშაგს ეს ყველაფერი კარგად ესმის და ამაყობს ნდობით.

ჩუ!... რაღაც მოძრაობაა. ხის ხმელი ტოტების მტვრევა. გუშაგმა ყურები ცქვიტა, თვალები უფრო დაჭიმა და ძალდატანებით აცქერდება სიბნელეში რაღაც მოძრაობას.

და აი შენიშნა კიდეც, ზურგიდან მას ერთი ადამიანის აჩრდილი უახლოვდება.

„ყარაულის უფროსი თუ არის" ფიქრობს ის, მაგრამ მაინც მზად არის. თუ მტრის მზვერავია უეჭველად უნდა დაიჭიროს. ან ხიშტს დაარტყამს.

„ყოჩაღ სტეფან" აფთხილებს თავს. აი მიუახლოვდა კიდეც აჩრდილი. გაჩერდა გზაჯვარედინზედ და სიბნელეში რაღაცას ათვალიერებს.

—სტეფან სადა ხარ! ისმის ხმა.

—ამხ. ყარაულის უფროსო, თქვენა? მტრის მზვერავი მეგონეთ და ცოტაც, რომ წინ წამოსულიყავით აუცილებლად ხიშტს ჩაგცემდი.

—ეჰ, მე ვარ. აბა სტეფან! ძალიან ფთხილად. ხომ იცი ექვსი კაცი შენი იმედით ვართ. ხომ იცი არამც თუ ექვსი, მთელი ასეული. ჩვენ გვღვიძავს, მაგრამ ასეულს სძინავს. მტერი რომ მოგვეპაროს ცოცხალი ვერც ერთი ვერ გადავრჩებით. ძლიერ ფრთხილად. ასეთი დრო უყვარს მტერს. სადაც არის ცისკარი თავს ამოყოფს, გათენებაც მოახლოვებულია. შენ მალე გამოიცვლები. არ დაგეძინოს. ჩვენი მზვერავებიც ყოჩაღად მოქმედებენ.

თუმცა ძალიან დაღლილები ვართ, მაგრამ ხალხის კეთილდღეობა მოითხოვს უნდა მოვითმინოთ. ჩვენი ასეული ისვენებს და გათენებისათვის სამოქმედო გეგმა უკვე შეიმუშავა ასეულის უფროსმა. ყარაულიც გასინჯა. როგორც ვატყობ ხვალ პირველი ჩვენ გადავდივართ შეტევაზედ.

— კიდევ ფრთხილად... არ დაგეძინოს. და ყარაულის უფროსი სხვა გუშაგთან წავიდა.

—ვეცდები ამხ. ყარაულის უფროსო. ოდნავ გასაგონი ხმათ უპასუხა გუშაგმა და ყარაულის უფროსი თავის საგუშაგოდან გაიცილა.

მთელი ასეული ჩემი იმედით ისვენებს. დიდი პასუხისგება მაწევს კისერზედ.

— ფრთხილად სტეფან—აფრთხილებს თავს,—სირცხვილი არ ვჭამო. ჩემი მშობლები ხომ ხალხისთვის თავდადებული არიან, მეც მათი შვილი ვარ. მეც მინდა ხალხს ვემსახურო. აქედან რომ განვთავისუფლდები, სახლში გავახარებ ყველას. ჩემს დუნიასაც გაეხარდება გულში ჩამიკონებს. და ის ჩამოჯდა ხის გადანაჭერ კუნძზედ. ღამის სიბნელეში თვალები ერთ წერტილს მიაშტერა. გაიტაცა ფიქრებმა. წარმოიდგინა თავისი თავი სოფელში მის ტოლ—ამხანაგებში. სიცილი, დროს ტარება. ყაზარმა, ამხანაგები, სანგრები, საგუშაგო, გზაჯვარედინი—ყველაფერი აირია მის თვალებში და... მას ჩაეძინა.

მოსწყინდა თვალის ქუთუთოებს პატრონის ამოდენა ხნით უყურადღებობა, ისინი პატრონის უნებურად ჩაეწებენ ერთმანეთს. და მას... ჩაეძინა.

—

გამარჯვებული მტერი სიმღერით შეეგება მეორე დილის მრავალფეროვან მზის სხივებს. სატუსაღოში მოთავსებული ასეულის უფროსი თავისი წითელ-არმიელებით დაღონებული ჩამომჯდარი ფანჯარაზედ მათზე გამარჯვებულ გახარებულ მტერს შურის თვალით უცქეროდა. იარაღი—აყრილი წითელ-არმიელები თავჩაქინდრული ეყარენ დარბაზის ერთ კუთხეში და უსიტყვო გამოტყველებით აუწერავი ტანჯვას განიცდიდენ.

—

მხოლოდ ცალკე ოთახში მოეთავსებინათ ამხანაგების მოღალატე სტეფანე. ის უგრძნობლად ეგდო იატაკზედ და ამხანაგების მიერ განაჩენის გამოტანას ელოდა.

შ. თელია.

სოც. მდგომარეობის მიხედვით საბჭოებში არჩეულია 1098 გლეხი, მუშები—60 დ... მშრომელი ინტელიგენტი 261...

## სახელმძღვანელო წიგნები სამხედრო სკოლისათვის.

ამ ჟამად ჩვენი სამხედრო სკოლა დიდ ნაკლულოვანებას განიცდის ქართული სახელმძღვანელო წიგნებით. ამის გამო ქართულ დივიზიის პოლიტ-განყოფილებასთან შესდგა სარედაქციო კოლეგია, რომლის მიზანია მიაწოდოს სამხედრო სკოლას სახელმძღვანელო წიგნები ქართულ ენაზე.

კოლეგიაში შედიან შემდეგი ამხანაგები: კოლეგიის თავმჯდომარე ამხ. კვირიკაძე, წევრებათ: ბალუაშვილი, აბრამიშვილი და რამიშვილი.

კოლეგია ამ მოკლე ხანში გამოუშვებს სახელმძღვანელოს „ქართულ ენის ქრისტომატიას", რომელიც შედგენილ იქნება სპეციალურად სამხედრო სკოლისთვის, ამავე სკოლის ქართულ ენის მასწავლებლისაგან. უსურვებ კოლეგიას თავიანთი დავალებანი ნათლად შეესრულებიოთ, რითაც ჩვენ მოსწავლე ახალ-გაზრდობას სწავლის საშუალებას მოგვცემს.

სამხკორი ჯ. ახათიანი.

## ჩვენი წრეები.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მეოთხე ლეგიონის კლუბის უფროსად დაინიშნა ამხ. ლომაძე, რომელმაც თავიდანვე ენერგიულად მოჰკიდა ხელი საკლუბო მუშაობას. ამ ჟამად ლეგიონის კლუბში დაარსებულია შემდეგი წრეები: პოლიტიკური, ლიტერატურული, სასპორტო და დრამატიული წრეები. ყველა მათგანში გაცხოველებული სისტემატიური მუშაობა სწარმოებს. იმედი გვაქვს რომ ასეთი ნაყოფიერი მუშაობით წრეები მალე დადგებიან თავის შესაფერ სიმაღლეზე.

დიდი გულმოდგინეობით მეცადინეობენ წრის წევრები-არმიელები. ერთ საათსაც არ კარგავენ უსაქმოდ. ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე არმიელი რამოდენიმე წრის წევრად ითვლება და ყველგან ენერგიულად მუშაობს.

წრეები ამას გარდა მასიურ მუშაობას აწარმოებენ წითელ-არმიელთა ფართო მასაში, რითაც ხელს უწყობენ მათ პოლიტიკურად და კულტურულად გათვითცნობიერების საქმეს.

სამხკორი ჩიკვაიძე.

## ექსკურსია გორის ელსადგურის დასათვალიერებლად.

4-ხე ლეგიონის საკავშირო ასეულმა ამ რამოდენიმე დღის წინად მოაწყო ექსკურსია გორის ელსადგურში. ექსკურსიამ ძლიერ აიამოვნა არმიელები.

მისვლისთანავე შამოგვეგება წინ სადგურის უფროსი, რომელმაც დაგვათვალიერებია ყველაფერი და დაწვრილებით გვიხსნიდა თითეული მანქანის მნიშვნელობას.

ამხანაგი ვრცლად შეეხო იმასაც, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სადგურს გორის ახლო-მახლო ადგილებისათვის. არმიელები გულდასმით ისმენდენ ყველა ახსნა განმარტებებს.

სადგურის დათვალიერებამ ბევრი რამ შესძინა წითელ არმიელებს. ზოგ ჩვენგანს სრულიად წარმოდგენა არ ჰქონდა ელექტრო სადგურებსა და მათი მუშაობის შესახებ.

სასურველი იქნება, რომ ჩვენი უფროსები ხშირად მოგვიწყობდენ ასეთი ხასიათის ექსკურსიებს სხვა და სხვა დაწესებულებისა და ისტორიული ადგილების დათვალიერების მიზნით.

ეს მეტად საჭიროა ჩვენი არმიელებისათვის, რომლებიც ცუდათ იცნობენ ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ მნიშვნელოვან ადგილებს, ხოლო ქარხნებისა და სხვათა მუშაობის შესახებ ოდნავი წარმოდგენაც არ აქვთ.

სამხკორი ქოჩიაშვილი.

## სამხედრო საქმე
### მაძიებელი ესკადრონი.

ძიება თანამედროვე ბრძოლის პირობებში გართულებულია.

წინეთ შეიძლებოდა შეუმჩნევლად პატარა თარშების მოქმედება. ისინი დაძვრებოდენ მტრის ახლო, ხშირად ზურგშიაც და ისევე შეუმჩნევლათ ბრუნდებოდენ უკან.

მაგრამ თანამედროვე პირობებში პატარა თარშების მოქმედება მეტათ შეუძლებელია. ჯერ ერთი ისინი ვეღარ მოახერხებენ შეუმჩნევლად მოძრაობას, რადგან ბევრი საშუალებებია თვალთვალის და კავშირის. ერთ ადგილას შეუმჩნეველი თარშის მოძრაობა ელვის სისწრაფით გადაეცემა ასიოდე კილომეტრის მანძილზედ ტელეფონის და ტელეგრაფის საშუალებით,

შემდეგ თანამედროვე ბრძოლა ხასიათდება ცეცხლის სიძლიერით. პატარა ნაწილს, ჯგუფეულს შეუძლია შეაჩეროს თარშის მოქმედება, თუ ეს უკანასკნელი სუსტი ძალისაა. კარგათ შეიარაღებულს რამოდენიმე ქვეითა მეომარს, შეიარაღებულს ავტომატით ან მსუბუქი ტყვია, მფრქვევით, შეუძლია სულ გაანადგუროს მთელი ოცეული, თუ არა მაინც ხელი შეუშალოს მას ძიებაში.

ამიტომ ძიებისათვის საჭიროა მეტი ძალიანი თარშები. საუკეთესო არის ესკადრონით ძიება.

მას საკმაო ძალა აქვს, რომ თავისი ცეცხლით გაიკაფოს გზა და გაფანტოს მტრის პატარა დასები, გარდა ამისა მას თვით შეუძლიან გაანადგუროს მტრის მაძიებელი პატარა ნაწილები და არ მისცეს ნება დაზვეროს მისი გამგზავნელი ჯარების მოქმედება.

თანამედროვე პირობებში ძიება შეიძლება მხოლოდ ბრძოლით ე. ი. დაფარულად ვერ დაზვერავ მტერს, უნდა გადალახო მის მიერ წინ გამოგზავნილი ხელ შემშლელი დაბრკოლებები.

გარდა ამისა როდესაც ბრძოლას უწყებ მტერს, აიძულებ მას გაიშალოს საბრძოლოთ და მით გამოაშკარაოს თავისი ძალა. გაიგებს რა ესკადრონი ამას, ხელათ სწყვეტს ბრძოლას და განაგრძობს მხოლოდ თვალთვალს. ცხენოსანი ნაწილისათვის ბრძოლის შეწყვეტა და ბრძოლიდან გამოსვლა ადვილია. მოითხოვს ცხენმტარებს, შესხდებიან და განშორდებიან სახიფათო ადგილას იმდენზედ, რომ შეიძლებოდეს თვალთვალი და მტრის ცეცხლი კი არ გაზიანებდეს.

ბრძოლის დაწყება და მისი წარმოება იქნამდის, რომ შეაჩეროს მტერი და აიძულოს ის საბრძოლო წესებზედ გადავიდეს, შეუძლია ესკადრონს. მას აქვს ოთხი მსუბუქი ტყვია მფრქვევი თავის შემადგენლობაში და გარდა ამისა შეიძლება მას მიეცეს ლეგიონიდან კიდევ ერთი ან ორი მძიმე ტყვიამფრქვევიც.

გარდა ამისა მაძიებელ ესკადრონს შეუძლია ფართე კედაროზედ მოქმედება.

მისი მოქმედების კედარო არ უნდა აღემატებოდეს 8 კილომეტრს. ამას ის ფარავს პატარა თარშების ქსელით, ისე რომ არც ერთი გზა, არც ერთი ღირს შესანიშნავი ადგილები დაუზვერავი არ უნდა დარჩეს. თარშების დაშორება მაძიებელ ესკადრონზედ არ უნდა აღემატებოდეს 3—4 კილომეტრს, რომ ადრე შეეძლოს მათი შეცვლა, და რაც მთავარია, ადრე მიიღოს მათგან ცნობები მტერზედ.

თარშების ძალა საკმარისია ერთი ჯგუფეულიდან ერთ ათეულამდის.

ი. დოლიძე.

## ამბები სოფლებიდან

**დახმარება ღარიბ მცხოვრებთ.**

ახალციხის აღმასკომმა დაავალა სოც. უზრ. ინსპექციას ადგილებზე აღმოუჩინოს დახმარება ღარიბ მცხოვრებთ.

**გლეხკომები სამხ. ოსეთში.**

სამხრეთ-ოსეთის გლეხკომების ცენტრალურმა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა საქ. გლეხკ. ცენტ. ბიუროს წინაშე დახმარების აღმოჩენის შესახებ.

**წითელ არმიელთა და ინვალიდების დახმარება.**

ფოთის უზრუნველყ. ინსპექციამ ოქტომბერ-ნოემბერ-დეკემბერის განმავლობაში ინვალიდების და წითელ არმიელებისათვის საექიმო დახმარებაზე დახარჯა 431 მანეთი.

**ახალციხის თვითმშრომელთა შორის.**

ახალციხის აღმასკომმა დაადგინა მოახდინოს, ახალციხის თვითმშრომელ საზოგადოებათა გადახალისება.

**აგარაკ შოვზე.**

მომავალი საზაფხულო საგარაკო სეზონისათვის აგარაკ შოვზე რაჭის აღმასკომს განზრახული აქვს ააშენონ ახალი სახლები.

**დაზღვეულები ახალციხეში.**

ახალციხის მაზრაში ამჟამად ითვლება 2 ათასამდე დაზღვეული მუშა-მოსამსახურე.

## საბჭოთა არჩევნების მიმდინარეობა.

**არჩევნები სამხ.-ოსეთში.**

სამხრეთ-ოსეთის საოლქო საარჩევნო კომისია იტყობინება, რომ იქ საბჭოთა არჩევნები დაიწყო 5 მარტიდან.

**არჩევნების მიმდინარეობა.**

სამხრეთ-ოსეთის ყველა თემებში, საარჩევნო კომისიის ცნობით არჩევნები იწვევენ ხალხში დიდ ინტერესს.

— **ბელოცკის თემში.** ბელოცკის თემში უკვე აირჩიეს სათემო საბჭო, რომელშიაც შედის 27 წევრი. მათ შორის 7 კომუნისტი და 2 ქალი.

**ოზურგეთის მაზრაში.**

— **ზემო ხეთას თემში.** სათემო საბჭოში აირჩიეს 16 დეპუტატი. მათ შორის 8 კომუნისტი და 3 ქალი.

— **ოზურგეთში.** ოზურგეთის საქალაქო საბჭოში აირჩიეს 65 დეპუტატი. აქედან 37 კომუნისტია და 3 ქალი.

**თემსაბჭოები ტფილისის მაზრაში.**

სულ ტფილისის მაზრის თემებში არჩეულია 1419 დეპუტატი. მათ შორის 151 ქალია.

საბჭოების წევრნი ეროვნულად ნაწილდებიან ასე: ქართველები 693 კაცი, სომხები 247, რუსები 84 კაცი და დანარჩენ ეროვნების 395 კაცი.

კომუნისტები მათ შორის 236 კაცია, ახკომკავშირელი 115, კანდიდატები 78 კაცი, უპარტიოები 990 კაცი.

## სამხედრო ტრიბუნალი.

9 მარტს ქართულ სამხედრო ტრიბუნალმა განიხილი სამი საქმე 1-ლ ქართულ ლეგიონის წ. მ. სილოვან ვლადიმერის-ძე მგალობლიშვილის, ვლადიმერ დავითის-ძე ბერანძის და ცხენოსან ლეგიონის წ. მ. დავით სამსონის ძე წიქარიშვილის. სამთავეს ბრალდებოდა დეზერტირობა. სასამართლოს სხდომაზე გამოირკვა შემდეგი: ბრალდებულ მგალობლიშვილს მიუტოვებია სამხედრო ნაწილი თავის ნებით და უფროსების ნება დაურთველად დაუყვია ნაწილის გარეშე 7 დღე და ა. წ. 31 იანვარს თავის ნებით გამოცხადებულა ნაწილში. ბრალდებული ბერანძე წასულა ნაწილიდან ნება დაურთველათ 26 იანვარს და გ. წ. ოქტომბერში შეუპყვრიათ და მიუციათ პასუხის გებაში. ბრალდებული წიქარიშვილი გაქცეულა ნაწილიდან 27 იანვარს და და... ბრუნებულა თავისი ნებით ... თებერვალს. ბრალდებულებმ... იცნეს თავი დამნაშავეთ და გა... ნაცხადეს სასამართლოს, წინაშ... რომ ისინი აიძულა ოჯახუ... მდგომარეობამ წასულიყვენ ს... ხლში. სასამართლომ დამტკიც... ბულად სცნო მათზე წაყენე... ბული ბრალდებები და მიუსა... ჯა მათ - მგალობლიშვილ... ორი თვით საჯარიმო გუნდ... მოთავსება და ათი მანეთის ქო... ნების ნაწილის კონფისკაცია... ბერანძეს თავისუფლების აღკვე... თა გამსახლში მოთავსებით ... თვით და 10 მანეთის ქონები... ნაწილის კონფისკაცია, წიქა... რიშვილს - თავისუფლების აღ... კვეთა გამსახლში მოთავსები... ორი თვით და 5 მანეთის ქო... ნების ნაწილის კონფისკაცია... გნია.

## ახალი ამბები

— **უმუშევრობა ახკომკავშირელებში.** საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიმუშავა ღონისძიებები ახკომკავშირელებს შორის უმუშევრობის მოსასპობათ.

— **სასოფლო—სამეურნეო სკოლების შესანახათ.** მიწ. მოქმედების კომისარიატმა გადასდო სას.-სამეურნეო სკოლების შესანახათ 12.000 მ.

— **წყალდიდობის წანააღმდეგ.** საქ. უმ. ეკ. საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ა. კ. უმ. ეკ. საბჭოს წინაშე 15 ათასი მანეთის გადადების შესახებ ფოთის რაიონში წყალდიდობასთან საბრძოლველათ.

— **ლაბორატორიები საქართველოში.** მთელ საქართველოში ამ ჟამად არის 28 მომქმედი ლაბორატორია.

— **შრომის საშუამავლ...** ბიურო აწარმოებს ალმშენებე... მუშათა გაგზავნას სამუშაოებზ...

— **ცხენთა ჯიშები.** ცხე... თა საჯიშოებს ამ ჟამად ყავ... 150 სხვა და სხვა ჯიშის ცხ... ნი.

— **საექიმო დახმარება.** დ... ზღვეულთათვის საექიმო დ... მარებისათვის დამზღვევმა სალ... რომ დახარჯა თებერვლის გ... ნმავლობაში 55.497 მანეთი.

— **ლექცია სატყეო მეურნეობაზე.** კვირას სას.-სამ. ს... ზოგადოებაში დილის 11 სა... თზე მოქ. ნ. ფირცხალაშვილ... წაიკითხავს ლექციას სატყე... მეურნეობაზე დაინტერესებუ... წითელ-არმიელებს შესვლა შ... უძლიანთ უფასოთ.

## განცხადებები.

### პარასკევს, 13 მარტს წითელ არმი... და ფლოტის

სახლში დანიშნულია ტფილისის გარნიზონისაგან ტფილ... 5 მოწვევის საბჭოში არჩეულ დეპუტატების კრება. კომი... ქციის სხდომა 18 საათზე; საერთო კრება 18 ნახ. საათზ... საკითხების მნიშვნელობის გამო დასწრება თავის დროზე ... ვალდებულოა.

გარნიზონის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე
დვორიანოვი.

### ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის № 1 კ... უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიაში ... ლების შესახებ შემდეგ ამხ: 1. ნატროშვილი სიმონ თედ... რეს-ძე ა. ლ. კ. კ. წევრი. 2. კუჭუხიძე ვარლამ თედორეს... კომპ. კანდ. 3. ჩახუნაშვილი მიხეილ კონსტანტინეს-ძე უპა... ტიო. ზემოთ ჩამოთვლილი ამხანაგების შესახებ თუ ვინ... რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ გთხოვთ გვაცნობოთ შ... დეგი მისამართით.

(ვაკე) ქართული გაერთიანებული მეთაურთა სკოლა. უჯრედის პასუხის მგებ. მდივანი ი. ბაქარაძე.

**დაიკარგა** ქართულ დივიზიის მთლიან სამხ... რო კოოპერატივის საწევრო წიგ... № 126 კაკაბაძის სახელზე—ჩაითვალოს გაუქმებულად.